პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 14 აპრილი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

0 (1075)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ვეანგულოვის ქუჩა
ტელეფონი 2—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ...ოგორ უნდა ჩავატაროთ ანტი-რელიგიური პროპაგანდა.

ჩვენი გაზეთის წარსულ ნომ-
...ებში, ჩვენ ვლაპარაკობდით
...ის შესახებ, თუ როგორი სა-
...ით უნდა იქნეს ჩატარებული
...ირველი მაისის დღესასწაული.
...ამასთან დაკავშირებით ჩვენ
...ც აღვნიშნეთ, რომ პირვე-
...ი მაისის დღესასწაული ხვდება
... დღეს და დღესაც ქრისტია-
...ლი ეკლესია იდღესასწაუ-
...ბს „ქრისტეს აღდგომას“.
...მაშასადამე ერთი და იმავე
...ღეს უნდა მოხდეს ორი სხვა
... სხვა სახის და ურთიერთ-
...რის საწინააღმდეგო დღესას-
...ულების გადახდა.
ჩვენთვის პირველი მაისის
...დღესასწაული არის სიმბოლო
...ერთაშორისო პროლეტარია-
...ს კლასიური თვითშეგნების
... გამოფხიზლების.
...ამავდროს „ქრისტეს აღდ-
...მა“ კი წარმოადგენს ზღა-
...რს, რომლითაც სამღვდელო-
...ს შემწეობით თავადაზნაუ-
...ბა და ბურჟუაზია, რამდე-
...მე საუკუნოების განმავლო-
...ში, მშრომელთა ფართო მა-
... გონებას ახშობდა და აბრ-
...ვებდა.
...ამიტომ ცხადია, რომ პირვე-
...ი მაისის დღესასწაულის ჩა-
...რებამდი ჩვენ ვალდებული
...ვართ, უპირველეს ყოვლისა ჩა-
...ვატაროთ ანტი-რელიგიური პრო-
...პაგანდა, როგორც მშრომე-
...თა ფართო მასაში, აგრეთვე
...განსაკუთრებით ჩვენი წითელი
...არის ნაწილებში.
...ამ პროპაგანდამ უნდა გაურ-
...ოს მშრომელთა ფართო მა-
... და წითელ არმიელებს,
...აღდგომის“ ზღაპრული ხასია-
... და აგრეთვე ის, თუ ამ
...დღესასწაულით, როგორ აბრმა-
ვებდა თავად-აზნაურობა და ბუ-
რჟუაზია მშრომელთა გონებას.
ამიტომ ჩვენი პოლიტხელმ-
ძღვანელები ვალდებულია ეს პროპაგან-
და ჩაატარონ არა ზეპირი გან-
ცხადებით, რომ ღმერთი არ
არის და რომ „აღდგომა“ სი-
სულელეა და სხვა.
არამედ ყველა პოლიტხელი
საკმაო მომზადებით უნდა გა-
მოვიდეს წითელ არმიელების
წინაშე ამ საკითხის გასარკვე-
ვათ და ყოველი მისი მტკიცე-
ბა ღმერთის არ არსებობის შე-
სახებ უნდა ემყარებოდეს ბუნე-
ბის-მეტყველების იმ ცნობებს,
რომელიც საშუალებას გვაძ-
ლევს ღმერთის არ არსებობის
დამტკიცებისათვის.
ადამიანის წარმოშობა-განვი-
თარების ისტორია ისე, რო-
გორც ეს არის ბუნების-მეტყ-
ველების მიერ დამუშავებული,
ჩვენ რასაკვირველია გვაძლევს
იმის უფლებას, რომ დავამტკი-
ცოთ ის აზრი, რომ ღმერთი
ეს თვით ადამიანის გონების
ნაყოფია და რომ თვით „ქრის-
ტეს აღდგომაც“ ადამიანის ფა-
ნტაზიით არის შექმნილი.
ამ დებულებიდან გამოსვლით,
ყველა პოლიტხელს შეუძლია
თავისი მოხსენება „აღდგომაზე“
ააგოს უფრო დამაჯერებელ და
მაგარ მეცნიერულ საფუძვე-
ლზე.
მხოლოდ ასეთი მომზადებით
ე. ი. მხოლოდ და მხოლოდ
ბუნების-მეტყველების მიერ და-
გროვილ და დამუშავებულ ფა-
ქტების გაცნობით და შესწავ-
ლით უნდა იქნეს გატარებული
ჩვენი ჯარის ნაწილებში, პო-
ლიტხელების მიერ „აღდგომის“
საწინააღმდეგო პროპაგანდა.

## ...ოციალისტი ბონკური, პოლონე...ის ჯარის კაცი და ევროპის ცივილიზაცია.

...ერთა ლიგის უკანასკნელი
...ომის უშედეგოთ დამთავ-
...ბის შემდეგ, რომელიც მო-
...ული იყო ერთა ლიგის
...ეზიდიუმში გერმანიის წარ-
...მადგენლის შეყვანის მიზნით,
...რანგეთის წარმომადგენელი
...ციალისტი პოლ ბონკური
...თა ლიგაში, გაემგზავრა პო-
...ონეთში, რათა მოაგვაროს
...მეები, ე. ი. დაამშვიდოს
...ლონეთის საზოგადოებრივი
...რი, ან დააჯეროს პოლო-
...თის მართველი წრეები, რომ
...რმანიის ერთა ლიგაში მუდ-
...ვი ადგილის მიცემით მათ არ
...ელის არავითარი საფრთხე.
...ვარშავაში გაიმართა საზეი-
... სხდომა პოლონეთ-საფრან-
გეთის საპარლამენტო ჯგუფის
მიერ პოლ ბონკურის საპატივ-
ცემლოთ.
ამ ზეიმზე წარმოთქმულ სი-
ტყვაში ბონკურმა განაცხადა,
რომ პოლონეთის ჯარის კაცი,
პოლონეთ-რუსეთის საზღვარზე
მდგომი არის სიმბოლო ევრო-
პის ცივილიზაციის დაცვის და
მისი საუკეთესო დარაჯი:
მარტო ამით არ დაკმაყო-
ფილდა სოციალისტი ბონკუ-
რი. მას სწყურია საერთო მშვი-
დობიანობა და მშვიდობიანო-
ბის გარანტია. ასეთ გარან-
ტიათ მას მიაჩნია ლოკარნოს
ხელშეკრულება. მართალია
ლოკარნო არ არის ყველასა-
თვის საიმედო გარანტია, რად-
გან ინგლისმა არ ისურვა
ეს გარანტია გავრცელებული-
ყო აღმოსავლეთის ხალხებზე
და დაკმაყოფილდა მხოლოდ
დასავლეთ ევროპის სახელმწი-
ფოებით—რეინის საზღვრამდის.
მაგრამ ბონკურს სჯერა, რომ
ევროპა შეიგნებს აუცილებ-
ლობას და არ დაკმაყოფილ-
დება მარტო რეინის მომხიბ-
ლავი ბუნებით და ამ გარან-
ტიას გაავრცელებს პოლონე-
თის საზღვრამდის.
როდესაც საფრანგეთის გავ-
ლენა პოლონეთში შერყეუ-
ლია, მის განცხადებას, რომ
თუ პოლონეთი არ მიიღებს
ერთა ლიგაში მის კუთვნილ
სავარძელს, მაინც დარჩება
თავისუფალი სავარძელი და ეს
სავარძელი იქნება პოლონე-
თისო. ეს განცხადება პოლო-
ნეთისთვის ცარიელ სიტყვის
შთაბეჭდილებას სტოვებს და
მაინც და მაინც ვერავითარი
გარანტია უნდა იყვეს მისი
უშიშროების უზრუნველსაყო-
ფათ.
ასე თუ ისე, ბონკურმა შეა-
სრულა საფრანგეთის ბურჟუა-
ზიის დავალება, მაგრამ მან
მაინც ვერ შესძლო პოლონე-
თის გადმობირება, თუმცა ბევ-
რი ეცადა დაეჯერებია პოლო-
ნეთი, რომ მასსა და გერმანიის
შორის აღარ არსებობს მეტი
სადაო საკითხები და უნდა
შეურიგდეს იმ აზრს, რომ გერ-
მანია მიიღებს ერთა ლიგაში
მუდმივ ადგილს, ის კი უნდა
დაკმაყოფილდეს მხოლოდ ცა-
რიელი სავარძლით და დაი-
ცვას ევროპის სოციალისტები
ჩვენი კავშირის მუშების და
გლეხებისაგან.
საბჭოთა კავშირის მშრო-
მელმა ხალხმა კი უნდა გაი-
გოს, რომ „სოციალისტი“ ბონ-
კური და ბრიან-მილიერანი
ერთ ფრონტზე მუშაობს, ეს
ფრონტია საფრანგეთის ბურ-
ჟუაზიის დაცვა და სამსახური.
კეთილი იყოს მათი თანამშრო-
მლობა.

ს. მ.

# ახალი რადიო ამბები

## ჩინეთის ამბები

### დუან-ცზი-ჩუი გაიქცა.

ხმებია, რომ პეკინის მმართველი—დუან—ცზი—ჩუი გაიქცა დაპატიმრების წინ და ეხლა იმალება უცხოელების კვარტალში.

აქედან დუან—ცზი—ჩუი უგზავნის სამხედრო და სამოქალაქო ძალებს დეპეშას, რომელშიაც სწერს, რომ სახალხო არმია „უკანონოდ შემოიჭრა, რომ მთავრობამ დროებით შესწყვიტა მოქმედება, რომ დუან—ცზი—ჩუის ხელმოუწერელ ქაღალდებს ძალა არ აქვსო“ და სხვა.

### მოითხოვენ დუან-ცზი-ჩუის დაპატიმრებას.

გომინდანმა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა მიმართეს სახალხო არმიის ბელად ლი—ჩინ—ლინს წერილით, რომელშიაც დაჟინებით მოითხოვენ დუან—ცზი—ჩუის დაპატიმრებასა და საჯაროდ გასამართლებას.

### პრესის გამოძახილი.

პეკინის პრესა ესალმება სახალხო არმიის გამოსვლას, რომელმაც ჩამოაგდო პეკინის მმართველი დუან-ცზი-ჩუი. გაზეთები უწოდებენ დუან-ცზი-ჩუის მოღალატეს და მწუხარებას გამოსთქვამენ, რომ სახალხო არმიამ დაიგვიანა მისი ჩამოგდებათ.

გომინდანის გაზეთი მოაგონებს, სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რომ ისინი სცნობდენ ჩინეთის მთავრობას იმდენად, რამდენადაც მის სათავეში იმყოფებოდა დუან-ცზი-ჩუი, და გამოსთქვამს იმედს, რომ სახელმწიფოები უკან წაიღებენ თავიანთ ცნობას.

იაპონოფილური (იაპ. მომხრე) გაზეთი სწერს, რომ სახალხო არმიის გამოსვლა დიდის გამოცდილებით ჩატარდა და ფიქრობს, რომ აღმასრულებელი ძალის მეთაურის ჩამოგდებას შეუძლია გავლენა იქონიოს სხვა სახელმწიფოებთან ჩინეთის დამოკიდებულებაზე.

ამასთან გაზეთი აფრთხილებს და ურჩევს მას ნუ მიიღებენ სერიოზულ ზომებს დუან-ცზი-ჩუის წინააღმდეგ, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში პეკინის უცხოელი წრეები იძულებული იქნებიან სერიოზულად გაასამართლონ სახალხო არმიის ბელადების მოქმედებათ.

## სსრკ-ს ცაკის მეორე სესია

### სესიის გახსნა

12 აპრილს გაიხსნა სსრკ-ს ცაკის მეორე სესია.



ამხ. პეტროვსკი.

პრეზიდიუმის მონდობილობით სხდომას ხსნის პეტროვსკი.

„სანამ დღის წესრიგის დამტკიცებაზე გადავიდოდეთ—ამბობს პეტროვსკი—ნება მიბოძეთ აღვნიშნო ის დიდი დანაკლისი კოტოვსკის, ლოკჩევის, ბლაკიტნის, ტინშტიკბაევის, კალმიკოვისა და ფრუნზეს დაკარგვით.

განსაკუთრებით მძიმე იყო ფრუნზეს დაკარგვა, რომელსაც ჩვენ დავაკისრეთ დიდი პასუხისმგებლობა კავშირის თავდაცვის საქმეში. ჩვენი რიგებიდან დაღუპული ყველა ამხანაგები ჩვენი კავშირის აქტიური და შეგნებული მუშაკები იყვენ“.

დელეგატები პატივს სცემენ გარდაცვლილ მუშაკთა ხსოვნას ფეხზე ადგომით.

სხდომა ამტკიცებს დღის წესრიგს.

დღის წესრიგის მიღების შემდეგ საბჭოთა კავშირისა და საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტის შესახებ მოხსენებას აკეთებს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი.

## მოლაპარაკება რიფებთან.

ესპანეთის მთავრობამ უკვე დანიშნა დელეგატები რიფებთან საზავო მოლაპარაკებისთვის.

საფრანგეთისა და ესპანეთის დელეგატებმა მოილაპარაკეს სტრატეგიულ წერტების შესახებ, რომლებიც უნდა დაიკავონ ფრანგებმა და ესპანელებმა დროებითი ზავის დადებამდი.

რიფებს ეყოლება სულ სამი დელეგატი მთავარი ტომებისაგან.

## მე-2 ინტერნაც. აღმასკომის სესია

ციურიხში გაიხსნა მე-2 ინტერნაციონალის აღმასკომის კონფერენცია. დღის წესრიგშია: ემიგრაციის საყოველთაო კონგრესისთვის მომზადება; ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ; პოზიციის გარკვევა განიარაღების კონფერენციისადმი და სხვა.

11 აპრილის სხდომაზე ირჩეოდა ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წინადადება—დაწყებულიყო მოლაპარაკება კომინტერნთან ორივე ინტერნაციონალის გაერთიანების შესახებ.

ამ საკითხის გარშემო კამათი გრძელდება.

## პოლონეთ-რუმინეთის შეთანხმება

პოლონეთ-რუმინეთის შეთანხმებაში არის მუხლი, რომლის ძალითაც რუმინეთი ვალდებულია გამოვიდეს პოლონეთის ინტერესების დასაცავად გერმანიასთან შეხლის შემთხვევაში.

ეს მუხლი შეტანილია იმის სამაგიეროდ, რომ პოლონეთმა აიღო ვალდებულება გარანტიის, რომ ბესარაბია დარჩება რუმინეთს.

## ბრძოლა ხელფასის მომატებისთვის

ლონდონის მანქანათმშენებელი მუშები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას კვირაში 9 მ. 50 კაპიკით. მრეწველებმა უარყვეს მუშათა მოთხოვნილება.

ამავე დარგის 33 ოლქის მუშებს განზრახული აქვთ წარუდგინონ მრეწველებს ასეთივე ხასიათის მოთხოვნილება.

# საბჭოთა კავშირში

## ეკონომიური კონფერენცია და სსრკ.

სახელმწიფო საგეგმო უწყების თავმჯდომარემ კრჟიჟანოვსკიმ და ცენტროკავშირის თავმჯდომარემ ხინჩუკმა, რომლებიც მიწვეული იყვენ ერთა ლიგის მიერ ეკონომიურ კონფერენციაზე, უარი განაცხადეს ლიგის წინადადებაზე, ვინაიდან კონფერენცია უნდა მოხდეს შვეიცარიაში.

## წვევამდე მომზადება

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ სამმართველომ დაადგინა მიმდინარე წელში მიიზიდონ წვევამდე მომზადებაში უმაღლეს სასწავლებლისა და მეორე საფეხურის სკოლების ის მოსწავლეები, რომლებსაც ეხებათ წითელ არმიაში გაწვევა ამა წლის შემოდგომაზე.

# საქართველოში.

## კოოპერაციის ზრდა.

1926 წლის 1-ლ აპრილისთვის შორაპნის მაზრაში ითვლებოდა 10 კოოპერატიული ორგანიზაცია, რომლებსაც აქვთ 47 სავაჭრო წერტი და 13 საწარმოო დაწესებულება.

წევრთა რიცხვი უდრიდა 11.618 კაცს. გასულ წელთან შედარებით წევრთა რიცხვი გაიზარდა 2.767 კაცით, ხოლო საწევრო კაპიტალი 12.642 მ. და 25 კაპ.

ოზურგეთის მაზრაში ითვლება 10 კოოპერატიული ორგანიზაცია 76 სავაჭრო და 30 საწარმოო წერტი. წევრთა რიცხვი უდრის 8.949. საწევრო კაპიტალი—18.735 მან. 32 კაპიკს.

ოქტომბერთან შედარებით წევრთა რიცხვი გაიზარდა 15 პრც-თ, ხოლო საწევრო კაპიტალი—12 პროც-თ.

## მანუფაქტურა გლეხებს.

ცეკავშირის ქუთაისის განყოფილებამ მიიღო ერთი ვაგონი მანუფაქტურა გლეხებისთვის.

მანუფაქტურა უმთავრესად განაწილებულ იქნება სასოფლო კოოპერატივებ შორის.

## ახალი საექიმო წერტები.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გახსნა ხულოს მაზრის სოფლებში ახალი საექიმო წერტები.

## სასოფლო სამეურნეო კომუნები.

ხულოსა და ქედას მაზრებში მოწყობილია 10 სასოფლო სამეურნეო კომუნა.

კომუნები დაამუშავებენ 100 დესეტინაზე მეტ მიწას.

# ჯარის ნაწილის მიერ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა

რომ უფრო ნათლად და სწორედ წარმოვიდგინოთ ყველა იმ სახსრების (თანხების) განაწილება, რომელიც ერთეულის განკარგულებაშია და რომელიც უნდა შეტანილ იქმნას ხარჯთ-აღრიცხვაში მოთხოვნილებების მიხედვით—საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის „შემოსავლის“ და „გასავლის“ მუხლები დაწყობილ იქნას სისტემატიურათ და განსაზღვრულ ჯგუფებათ. ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა ხარჯთ-აღრიცხვა გაყოფილი იყოს შემდეგ ნაწილებად: 1) სანივთო კმაყოფა, 2) სამნეო და საკანცელარიო ხარჯები, 3) ყაზარმის შეკეთება, 4) სატეხნიკო ქონება, 5) იარაღი, 6) სასმელ საჭმელი და საკვები. 7) სათბობი მასალა და კომუნალური საჭიროებანი. 8) სამოსწავლო საქმე და განათლება და 9) სხვა და სხვა ხარჯები.

ეს ნაწილები, რასაკვირველია საჭიროებს კიდევ დამატებას, შეიძლება ზოგიერთ აქ ჩამოთვლილ ნაწილებს არ ჰქონდეთ შემოსავალი, მაგრამ ჩვენ ეს არ უნდა გვაშინებდეს, რადგან ჩვენ აქ გვაქვს გამოსავალი: შეგვიძლიან კანონის ძალით ერთი საჭიროება დავფაროთ მეორე საჭიროების თავისუფალი ნაშთით, საჭიროა მხოლოდ, რომ გასავლის საერთო ჯამი, არ აღემატებოდეს შემოსავლის ჯამს.

ერთეულის უფროსის მიერ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის სისრულეში მოყვანა ადვილი საქმეა. ერთეულის თავის თანაშემწე სამნეო დარგში ნებას რთავს თითეულ ხარჯის შესრულებას—ვიდრე არის ამ მუხლის სათანადო სახსარი და იგი უზრუნველყოფილია უკვე შემოსული თანხით; წინააღმდეგ შემთხვევაში—იმ ხარჯების დასაფარავად, რომლებიც ან სრულიად არ იყო გათვალისწინებული ხარჯთ-აღრიცხვით, ან იყო გათვალისწინებული, მაგრამ ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს იყო საჭირო, ლეგიონის თავის თანაშემწემ სამნეო დარგში ხარჯთ-აღრიცხვაში უნდა მოძებნოს სხვა წყარო დასაკმაყოფილებლად და სთხოვოს ერთეულის უფროსს შეტანილ იქმნას ხარჯთ-აღრიცხვაში სათანადო ცვლილება.

სამნეო ნაწილის საქმის წარმოებელმა უნდა თვალყური ადევნოს და ნუსხას, ხარჯთ-აღრიცხვაში აღნიშვნით, შემოსული და გასული თანხები განყოფილებების და საჭიროებების მიხედვით. წლის ბოლოს ამ აღნუსხვის მიხედვით შესდგება ანგარიში, რომელშიაც ნაჩვენები უნდა იყოს ყველა განყოფილებების, როგორც მისალები და ფაქტიურათ მიღებული თანხები, აგრეთვე განზრახული და ფაქტიურად შესრულებული ხარჯებიც.

ერთეულის ხარჯთ-აღრიცხვის და მის ანგარიშის შედგენა არაა ნაწილისთვის ახალი და საძნელო საქმე, სამნეო ნაწილმა ისედაც უნდა აწარმოვოს ანგარიში თვითეულ თანხაზე, როგორც შემოსულზე, აგრეთვე გასულზე ერთეულიდან.

ნ. შ.

# სამხედრო სამეცნიერო წრის მუშაობის მეთოდი.

უნდა იქნეს გამოყოფილი პრეზიდიუმი ისეთი პირებისაგან, რომლებიც მიისწრაფიან სამხედრო სამეცნიერო მუშაობისაკენ; არავითარ **ადმინისტრატიულ** ხელმძღვანელობას ადგილი არ უნდა ქონდეს—მუშაობა აგებული უნდა იქნას **სურვილზე**. მუდმივი სექციების არსებობა არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან **„თემა თვით დაბადებს—სექციას“**.

ყოველი მოცემული თემის დამუშავების წინ დგება ჯგუფები, სადაც ეწერებიან სურვილისამებრ—ამა თუ იმ დასახულ სექციაში, მხოლოდ თემის დამუშავების შემდეგ—**სექცია იშლება**. ორგანიზაციის პრეზიდიუმმა, დაისახა თუ არა თემები, უნდა მიიღოს გარეთიანებიდან მოცემულობა (ზადანიე). პრეზიდიუმი იმას აცხადებს მთელი შემადგენლობის საყურადღებოთ და ნიშნავს მისი დამუშავების დროს.

ყოველი წევრი ვალდებულია მიიღოს აქტიური მონაწილეობა ამა თუ იმ საკითხის დამუშავებაში, თორემ მექანიკურათ გარიცხულ იქნება ორგანიზაციიდან.

ყოველი ჯგუფი ირჩევს—ხელმძღვანელს, ანაწილებს მოვალეობას მონაწილეთა შორის და პასუხისმგებელია პრეზიდიუმის წინაშე. პირველი მოსამზადებელი მუშაობა ხელმძღვანელის იქნება—მუშაობის განაწილება მონაწილეთა შორის: ერთი აიღებს თავზე მასალების მოძებნას წიგნებში, ჟურნალებში და სხვაგან, მოცემული საკითხის გასაშუქებლათ; მეორე აიღებს მეცნიერულ კვლევას, ამიტომ დაათვალიერებს მეზობელ ნაწილების დაწესებულებებს, ტეხნიკურ წარმოებებს, სადაც გაეცნობ[ა] დასამუშავებლათ მიცემული საკითხის დაყენებას; მესამე აიღებს თავზე—სტატისტიკური ცნობების, დიაგრამების სქემების შედგენასა და სხვა, რომელიც აშუქებს მოცემულ საკითხს, სადაც მთელი საკითხის მასალები იქნება დამუშავებული და სხვა.

ხელმძღვანელი გააკეთებ[ს] მოხსენებას დამუშავებული საკითხის შესახებ (აიყვანს თანამომხსენებელს), თემა (დამუშავებული) უნდა იქნეს დაწერილი. საინტერესო საკითხ[ი] გადაიტანება ხოლმე—ორგანიზაციის პლენუმზე და სხვა.

რამოდენიმე დღით წინ მოხსენების ჩატარებამდი გამოკიდებული უნდა იქნეს თეზისები და ლიტერატურის სი[ა] ამ საკითხის შესახებ.

მოხსენების ირგვლივ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა დამატება და სხვათა შემდეგ დამუშავებული საკითხი გადაეცემა ორგანიზაციის არქივს.

ჯ. ქუთელია.

# ცხენოსანი ნაწილები.

მეორე იმ ნაწილებთაგანი, სადაც უმთავრესათ ცოცხალ ძალას აქვს თავი მოყრილი, არის ცხენოსანთა ნაწილები. ბრძოლის ველზე ამა თუ იმ წერტში სისწრაფით გადასვლა-გადმოსვლას აქვს დიდი მნიშვნელობა. ადამიანმა დაიმორჩილა რა ცხენი და დაიწყო რა მისი (საერთო) მოხმარა ცხოვრებაში, მან ისიც მალე მოიფიქრა თუ რა კარგი გამოსადეგია ცხენი ბრძოლის ველზე. სანამ ბრძოლის ველზე გაბატონდებოდა უმეტესად ცეცხლის ძალა, სანამ ბრძოლა მანძილზე ისეთი ძლიერი არ იყო როგორც ჩვენ ამას ვხედავთ დღეს, ცხენი მასზე მჯდომ მხედარს ქვეითებზე უფრო ძლიერად ხდიდა. ცხენოსანთა ერიშს დიდ ძალას აძლევდა თვით ცხენის ძალა და ამ რიგად მებრძოლის შემოკვრა ორკეცდებოდა.

გარდა ამისა მისი სწრაფი მოძრაობის წყალობით ცხენოსან ნაწილს ადვილათ შეუძლიან მტრის ფრთებზე შემოვლა, იქიდან მისი შემოკვრა, ან მთლად მტრის ზურგში მოქცევა და სხვა. ერთი სიტყვით თავისი მოძრავიანობის წყალობით ცხენოსანი პოულობს ფეხოსანზე უპირატესობას თვით შემოკვრის ილეთების მრავალ გვარობით და სიძლიერით.

მეტი ხელსაყრელი შეიქნა ცხენოსანთა მიერ დაზვერვის წარმოება. ცხენის სიჩქარე, მისი ამტანიანობა იძლევა საშვალებას უფრო ჩქარა გავიგოთ ჩვენ ყოველივე მტრის, სანამ ჩვენ პირდაპირ შევხვდებოდეთ მას. ყოველივე ის ცნობები, რასაც იძლევა წინდაწინ მტრის ამ რიგად დაზვერვა, არის საშვალება მტრის ყოველივე მოქმედების ცოდნისა, რაც გვიადვილებს გავიანგარიშოთ, კარგათ გავსაჯოთ მტრის მოქმედება, მივიღოთ სათანადო ჩვენი წინააღმდეგობის გეგმა და ამრიგად დავხვდეთ ან შევხვდეთ მტერს ადრევე გამზადებული. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მტრის მოქმედების ილეთები არამც თუ იქნება მოულოდნელი, არამედ ყოველივე წინდაწინ გვექნება გაანგარიშებული და გათვალისწინებული. ჩვენ უკვე წინა წერილებში ვსთქვით თუ რა დიდ მნიშვნელობა აქვს ბრძოლისათვის, როდესაც მტერის ყოველივე მდგომარეობაზე ჩვენ წინდაწინვე გვაქვს ცნობები.

ეს მნიშვნელობა იმდენა[დ] დიდია, რომ უამისოთ—თავდ[აპ]ირველათ შეუძლებელია სრულებით ბრძოლის ჩატარება [და] მეორე,—ვინც კი, თუმცა მა[სზე] არავითარი ცნობა არა აქვ[ს] მტერზე, მაინც დაიწყებს მო[]ქმედებას, ასეთებისათვის ყო[]ველივე მტრის მოქმედება იქ[]ნება მოულოდნელი, და მოუ[]ლოდნელობის მნიშვნელობა ქ[] ბრძოლაში უდიდესია—თით[]ქმის ბრძოლის ბედის გად[ა]წყვეტა. ყოველივე ამას აგვ[ი]ცდენს ჩვენ მტრის კარგათ დ[ა]ზვერვა. ყველაზე უკეთ ჯერ[]ჯერობით ასეთ დაზვერვას ა[]რულებს ცხენოსნები, ვინაიდა[ნ] მათი სისწრაფის საშუალები[თ] ჩვენ მას უშვებთ წინ რამდე[]ნიმე ვერსზე მტრის შესახვედ[]რათ—გასაცნობათ. ამ რიგა[დ] ცხენოსანი დაზვერავს მტერ[ს] და საჩქაროდ გვაცნობებს ყო[]ველივეს და ჩვენ გვეძლევ[ა] საშვალება მივიღოთ სათანად[ო] გადაწყვეტილება ბრძოლის[]თვის.

ჩვენს მიერ მტრის წინასწა[]რი დაზვერვა გადადის უმთავ[]რესათ ცხენოსანთა ამოცანაშ[ი] ცხენოსნები ითვლებიან ჯარი[ს] თვალყურათ. დ. მელაძ[ე]

# ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობა.

მთელი მსოფლიოს იმპერიალისტების ყურადღება მიპყრობილია დღეს ჩინეთისკენ. ვებერთელა მიწა-წყალი—უხვი სიმდიდრით და ოთხს მილიონზე მეტი მცხოვრები, აი მათი ყურადღების ცენტრი. ყველა სახელმწიფომ ცალ-ცალკე დარაზმა თავის მხრივ ჩინეთის მართველი გენერლები და ერთმანეთს მიუსიეს, გააჩაღეს სამოქალაქო ომი და ქვეყანა გახვიეს დაუსრულებელ ბრძოლის ცეცხლში.

რა ასულდგმულებს მათ მიზანს? მათ მიზანს ასულდგმულებს მხოლოდ ერთი რამ: დაასუსტონ ჩინეთი ისე, რომ საშვალება მიეცესთ მათ მასზე ბატონობისა. მაგრამ საქმე ის არის, რომ, როგორც ყოველთვის, ისე აქ, იმპერიალისტური სახელმწიფოები ვერ შეთანხმდენ ამ საკითხში. მათ ყველას თავის ინტერესი ამოქმედებთ ამ შემთხვევაში. ყველას სურვილია, რომ ეს დიდი ქვეყანა გახდეს მის საკუთრებათ.

იაპონიას თავის ზრახვები აქვს. იგი ყველაზე უფრო მოხერხებულათ და რეალურ დახმარებას უწევს მანჯურიის მართველს, ცნობილ გენერალს-ჩან ძო-ლინს. მან, იაპონელებისაგან ზურგ-გამაგრებულმა ყველაზე უფრო დიდი სამხედრო გამარჯვება მოიპოვა ჩინეთში.

მეორე საყურადღებო ძალას წარმოადგენს გენერალი უ-პეი-ფუ. ის ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის აგენტია. ორივე ეს გენერალი მიისწრაფის პეკინის დასაპყრობათ, რომელიც ამჟამად სახალხო არმიის ხელშია. მაგრამ ამაოა მათი ბოროტი ზრახვები; იმის გამო, რომ ეს ორი გენერალი, ე. ი. იაპონიის და ამერიკა-ინგლისის კაპიტალი, ვერ შეთანხმდენ ერთმანეთში და მიზანი მიუხწეველი რჩებათ.

მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერი ძალა, რომელსაც მომავალი აქვს, ეს არის ჩინეთის რევოლიუცია. მისმა საუკეთესო წარმომადგენელმა სუნ-იატ-სენმა, ამ ჩინეთის გამოჩენილმა რევოლიუციონერმა შექმნა გომინდანის პარტია, შეაიარაღა ჩინეთის რევოლიუცია, სახალხო არმიის მოწყობით, რომელიც თავგანწირვით ებრძვის, როგორც შინაურ, ისე შემოსეულ ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს.

ამ ხანგრძლივმა სამოქალაქო ომმა ჩინეთის ხალხი აამოძრავა, მისი სოციალური ფენები თანდათან იკვეთებიან. სამოქმედო ასპარეზზე გამოდის, როგორც ქალაქის პროლეტარიატი, ისე სოფლის მშრომელთა მილიონები. ფართო გასაქანი მიეცა აგრეთვე გლეხთა მოძრაობას. სახალხო არმია უმთავრესად შესდგება გლეხებისაგან და მათი წრიდან გამოსულ სტუდენტებისაგან. ამიტომაა, რომ ჩინეთის რევოლიუციას ეძლევა ნამდვილი ხალხური ხასიათი, რამდენადაც იგი მიმართულია შინაურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ეროვნულია იმდენათ, რამდენათაც მიზნათ ისახავს უცხოეთის კაპიტალისტების დამხობას.

როცა ყველა იმპერიალისტური სახელმწიფოს ინტერესები ჩინეთის ტერიტორიაზე ერთმანეთს ეჯახებიან, სულ განსაკუთრებული პოზიცია უკავია საბჭოთა კავშირს. მისი თანაგრძნობა უეჭველად ჩინეთის მშრომელი ხალხის მხარეზეა. იგი დაინტერესებულია ამ ძალის გამარჯვებაში, ვინაიდან ამ ძალის გამარჯვება ნიშნავს რევოლიუციის გამარჯვებას—ეს კი განამტკიცებს ბრძოლით მოპოვებულ ყველა მიხწევებს, რაც ლაგამს ამოსდებს იმპერიალისტების მადას და ჩინეთის მშრომელ მასას კი საშვალებას მისცემს მშვიდობიანი შრომისას, რომ უკეთესათ მოაწყოს თავისი ქონებრივი კეთილდღეობა. დასასრულ ბოლო მოეღება გენერლების ამ დაუსრულებელ და უაზრო ბრძოლებს, რომელმაც მოსპო და გაანადგურა ეკონომიურათ ჩინეთის ხალხი.

განუზომელია ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობის მნიშვნელობა არა მარტო ჩინეთის მშრომელი ხალხისათვის, არა მარტო ჩვენთვის—საბჭოთა კავშირისათვის, არამედ იგი დიდათ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა მთელი აღმოსავლეთის ჩაგრული ერებისათვის.

ევროპის იმპერიალისტების საახალშენო პოლიტიკამ იქამდის მიიყვანა აღმოსავლეთის ყველა დამონებული ერები, რომ ისინი დაირაზმენ თვით ამათ წინააღმდეგ და მათ შორის აშკარა ბრძოლაა გაჩაღებული. მოიგონეთ ინდოეთის, ეგვპტის, სირია-პალესტინის და უკანასკნელათ მაროკოს ეროვნულ — განმათავისუფლებელი ბრძოლები და თქვენთვის აშკარა იქნება ის ჭეშმარიტება, რომ შორს არ არის ის დრო, როცა დასასრული მიეცემა მათ საახალშენო პოლიტიკას და ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვა აღმოსავლეთის ყველა ერები.

ჩინეთის მიწაზე გაითხრება მსოფლიო იმპერიალიზმის პირველი საფლავი.

თ. გ.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## ვემზადებით საზანაკოდ.

1-ლი ცალკე საქ. ასეული.

კიდევ რამოდენიმე კვირა და უკვე დაიწყება ნაწილების საბანაკოდ წასვლა. ეს სხვებთან ერთად წარმოდგენილი აქვს ნაწილსაც, რომელიც უკვე კარგი ხანია შეუდგა წინასწარ სამზადისს,

გამოყოფილი იქნა რამოდენიმე წითელ არმიელი ერთ უფროსის მეთაურობით და გაგზავნილი იქნენ სამუშაოდ ბანაკის მოსაწყობად.

ამხანაგებს დაენიშნათ აგრეთვე ერთი კაცი პოლიტმეცადინეობისათვის, რათა მუშაობასთან ერთად არც პოლიტმეცადინეობა იქნეს უყურადღებოდ დატოვებული. წაიღეს ბლომად ლიტერატურა—გამოუწერეთ გაზეთი და სხვა.

საბანაკო პერიოდი უფრო აინტერესებს ზოგ სამხედრო საქმით დაინტერესებულ წითელ არმიელს; შემოდგომაზე გამოწვეული წითელ არმიელები ხშირად ეკითხებიან ძველებს საბანაკო ცხოვრების შესახებ, რაზედაც ისინი სათანადო ახსნა-განმარტებას ღებულობენ.

ასეთია ჩვენი მუშაობა საბანაკო პერიოდისთვის.

სამხკორი ვ—ნო.

## ჩვენი მიღწევები

1-ლი ლეგიონის სკოლა

სკოლაში გვაქვს საუცხოვოთ მოწყობილი ლენინის კუთხე, რომელშიდაც ჩამოყალიბებულია სხვა და სხვა წრეები.

გვაქვს გრამაფონი, რომელიც შეჯიბრების (კონკურსის) დროს ერგო ჩვენ ლენკუთხეს.

კუთხეში გამოყოფილ ამხანაგების მიერ ყოველ საღამოობით ტარდება ხმა მაღალი კითხვა და საუბრები. წ/არმიელები დიდ აქტივობას იჩენენ და გულმოდგინეთ უსმენენ ყველაფერს.

სხვა წრეებთან შედარებით ცოტა მოიკოჭლებს პოლიტწრის მუშაობა რაიც საჭიროებს გამოსწორებას და სისტემატიურათ მეცადინეობის დაწყებას.

კურსანტები დიდ აქტივობას იჩენენ აგრეთვე საზოგადოებრივ ორგ. მუშაობაში—რემედასის, ავიოქიმის—სადაც ჩარიცხულ არიან წევრებათ წითელ არმიელების 95 პროც. კურსანტებს თავიანთი ჯამაგირიდან გამოწერილი აქვთ კოლექტიურათ სამკითხველოსათვის 12 ცალი გაზ. „წ/არმიელი“.

წ. მოლ. ბ. ვარდია.

## როგორ ვიყენებთ შვებულებას.

1 ლეგიონი.

10 აპრილს გავემგზავრეთ სამი წ. მ. სოფელ ნატახტარში, სადაც მოწვეული იყო კრება.

როგორც ახალ მისულებს გვთხოვეს დავსწრებოდით კრებას.

კრება გახსნა კ. კ. უჯრედის მდივანმა.

ჩვენ გვთხოვეს რათა გაგვეცნო მათთვის წ. არმიელების ყოფა-ცხოვრება და წითელი ჯარის მნიშვნელობა. მოხსენებით ძლიერ დაინტერესდენ ამხანაგები და იძლეოდენ მრავალ შეკითხვებს, რაზედაც ღებულობდენ დამაკმაყოფილებელ პასუხს. ჩვენ აღუთქვით ამხანაგებს გაზეთებით დახმარება და კერძოთ გაზეთ „წითელ არმიელის“ გაწერით.

კრება დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით და გვთხოვეს ხშირათ მოვაწყოთ ასეთი საუბრები მათთან.

წ. მ. ა. ფოლადიანცი.

## კონკურსი წარმოდგენებზე.

ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონის კლუბმა გამოაცხადა კონკურსი წარმოდგენებზე. ყველა ესკადრონები გაცხოველებულ სამზადისში არიან. ამოირჩიეს პიესები და სწარმოებს რეპეტიციები. უმთავრესად წითელ არმიელები არიან ჩაბმული წარმოდგენებისათვის სამზადისში. გამარჯვებული ესკადრონი დასაჩუქრებული იქნება კლუბის მიერ. პირველად წარმოდგენას დგამს 1-ლი ესკადრონი, შემდეგ მეორე, მესამე და ბოლოს კი სკოლა და სამნეო ასეულიც.

ასეთ შეჯიბრს დიდი სარგებლობა მოაქვს წითელ არმიელთა გააქტივებისათვის. სასურველი იქნება, რომ კლუბი ხშირად მიჰართავდეს მას.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## ვემზადებით მომავალი ტერშეკრებისათვის.

მე-4 ლეგ. მე-9 ასეული.

მომავალი შეკრებისათვის ასეული დღეიდანვე შეუდგა სამზადისს. წინასწარ ვატარებთ კამპანიებს სოფლად, ვიწვევთ სოფლის გლეხობას, უხსნით თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის ტერიტორიალურ სისტემას, როგორ ხდება გაწვევა, რამდენი ხნით და რა მიზანი აქვს საერთოდ შეკრებებს.

ყველანი დიდათ კმაყოფილი რჩებიან ასეთი ახსნა-განმარტებით და ფიცს იძლევიან, რომ ყოველ მხრივ შეუწყობენ ხელს შეკრების ნაყოფიერად ჩატარებას.

ამ მუშაობაში დიდ დახმარებას გვიწევს ადგილობრივი ცვალებადი შემადგენლობა, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კამპანიების ჩატარებაში.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

## მისაბაძი მაგალითი.

მე-2 არტლეგიონი.

პირველ საგაუბიცო ბატარეიაში გვყავს მწყობრის თავად ამხანაგი წულაია. წითელარმიელებთან იშვიათ დამოკიდებულებაშია. უმეტეს დროს ჩვენთან ატარებს და გვესაუბრება ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. ხშირად მივყევართ ცხენებით ქალაქ გარეთ. ვათვალიერებთ სხვა და სხვა საყურადღებო ადგილებს და თან გვაძლევს სათანადო ახსნა-განმარტებას. მალე მთელ ტფილისს და მის მიდამოებს დაწვრილებით შევისწავლით ამხანაგის წყალობით. საჭიროა სხვა ამხანაგებმაც მიბაძონ ამხ. წულაიას მოქმედებას.

წ. არმ. ვ. ჯოგლიძე.

### არა გვაქვს სამეცადინო ოთახები.

1-ლი ლეგ. სკოლის 2 ტყვიამფრქვევ ოცეულს არა გვაქვს სამეცადინოთ ოთახი. წერა-კითხვას, პოლიტიკურ საათებს და სხვას გავდივართ სასადილოში. აქვეა სადურგლო და სხვა. გულდადებით მეცადინეობა შეუძლებელია ასეთ გარემოებაში თუ ჩვენმა მესვეურებმა არ გამოგვიძებნეს შესაფერი ოთახი.

სამხკორი წ—ტანა.

## ჩვენს ბიბლიოთეკაში.

1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში ბიბგამგემ თავის სურვილით დაანება თავი მუშაობას. მის მაგივრად იქნა დანიშნული ამხ. კალაძე, რომელიც მოსვლისთანავე შეუდგა მუშაობას. მუშაობა ჯერჯერობით კარგად მიმდინარეობს, ამხ. კალაძემ შესძინა ბიბლიოთეკას 90 რუსული წიგნი. წიგნები არის ძვირფასიანი. ვუსურვებთ შემდეგისათვის უფრო მეტი ენერგია გამოიჩინოს მას ჩვენი ლეგიონის შემადგენლობისათვის სამსახურში.

სამხკორი არველაძე.

## ლენინის კუთხე ასეულში.

მიუხედავათ იმისა, რომ ლენკუთხეების არსებობას ჩვენ ნაწილებში დიდი ხნის ისტორია არ აქვს, ჩვენ ამ მხრივ მაინც დიდი მიღწევები გვაქვს. ამ ჟამად შეუძლებელია წარმოდგენა ისეთ ასეულის ან სხვა ცალკე ერთეულისა, რომელსაც არ ქონდეს ლენინის კუთხე.

მეტად დიდი და შეუდარებელია ჩვენი ლენკუთხეების მნიშვნელობა წითელ არმიელთა მასის გააქტივების საქმეში და მიღწევები ამ დარგში უნდა მიეწეროს ჩვენ პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციას, რომელნიც არ ზოგავენ ენერგიას და ძალღონეს, რათა გააცოცხლონ და გააუმჯობესონ ლენკუთხეებში მუშაობა.

მაგრამ როგორც ყოველგვარ მუშაობაში, ისეც ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვეცადოთ გავაუმჯობესოთ ეს მუშაობა, აღმოვაჩინოთ ახალი ფორმები და მეთოდები, რომლითაც უფრო მეტი რიცხვი წითელ არმიელებისა იქნება მიზიდული ლენკუთხეების მუშაობაში. ამ მიზნით დაკვირვებით უნდა სწარმოებდეს თვით ლენკუთხეების მუშაობის შინაარსის შესწავლა.

ურთიერთ გამოცდილების გამოყენება.

თუ შეხვდებით წერილს გაზეთ „წითელ არმიელში“ ან კედლის გაზეთში ლენკუთხის მუშაობის შესახებ, აუცილებლად იქნება ლაპარაკი მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა ლენკუთხეში ესა თუ ის კამპანია: ლენკუთხე იყო მოწყობილი პლაკატებით და ლოზუნგებით, სწარმოებდა ხმა-მაღალი კითხვა გაზეთებისა და საუბარი კამპანიის მნიშვნელობის შესახებ“ და სხვა. არც ერთი სიტყვა იმის შესახებ, თუ რით აინტერესებს ლენკუთხე წითელ არმიელებს, მუშაობის როგორი ახალი ფორმები გამონახული აქვს ამა თუ იმ ლენკუთხეს. სწორედ ასეთი ცნობების მოთავსება არის საჭირო პრესაში, რათა სხვა ლენკუთხეებმაც გადაიტანონ ეს გამოცდილება თავის მუშაობაში.

ამის გარდა ხშირად ერთსა იმავე ლეგიონში ერთი ასეულის ლენკუთხის მომუშავენი არ არიან გაცნობილი სხვა ასეულის ლენკუთხის მუშაობას.

ჩვენ ვახდენთ დათვალიერებას, მხოლოდ შესწავლას კი ნაკლებად, რასაც აგრეთვე შემდეგში უნდა მიექცეს ყურადღება.

ცოტა რამ ცხრილის შესახებ.

როგორც ვიცით ყოველი ლენკუთხე ადგენს თავის მუშაობის კალენდარულ ცხრილს, რითაც ამ მუშაობას ეძლევა გეგმიური ხასიათი. აღსანიშნავია ის, რომ ხშირად ეს ცხრილი ინახება რომელიმე პირის ჯიბეში, ან და ჩაკერილი არის საქმეში, რის შემდეგ ცხრილი კარგავს თავის მნიშვნელობას. ამისათვის როგორც წესი, უნდა იქნეს მიღებული ცხრილის მოთავსება თვალსაჩინო ადგილას, რათა ყოველმა წითელ არმიელმა იცოდეს, თუ რომელ დღეს და საათში ამა თუ იმ ჯგუფში იქნება ჩატარებული მეცადინეობა.

ი. რ.

# ფელეტონი

(სამხკორთა წერილებიდან)

„ბრძანებას შესრულება უნდა და შემდეგ, თუ უკანონოა, გასაჩივრება“.

კარგი და პატიოსანი. მაგრამ, თუ კი ჩემს საჩივარს ყურადღება არ მიექცა, მაშინ რაღა ვქნა? დღესაც სჩივის მე-6 ლეგიონიდან უბრალოდ, სრულიად უბრალოდ დასჯილი ნინუაკუთხელი.

მოდი და ნუ გაბრაზდები: დაისაჯა უბრალოდ, იტანდა სასჯელს იმის მოლოდინში, რომ მეღირსება გარედ გამოსვლა და მთელი ჩემი სისასტიკით ამოვიყრი ჯავრსაო.

აი, ეღირსა ხილვა მზისა და მოემზადა განსაჩივრებად.

მოემზადა: „მე ვამტკიცებ, რომ უბრალოდ, უმიზეზოდ, სრულიად მართალი დავისაჯე“.

„დიაღ! ჩვენ ვგრძნობთ, რომ უმიზეზოდ დაისაჯეთ, მაგრამ ჩვენ ასეულის უფროსს (რომლის წყალობით იყო დასჯილი) თქვენი გულისთვის არ დავატუსაღებთ“. იყო პასუხი.

„რაშია საქმე?“—კითხულობთ თქვენ ნინუაკუთხელო
„რაშია საქმე?“ თქვენთან ერთად ვეკითხებით ჩვენც.

სად მოხდა ესე ამბავი?

„ისევ და ისევ ღვინითა,
ჰარია-ლალე
დრო გავატაროთ ლხინითა
ჰარია-ლალე“

მოისმის კოლას დუქნიდან ა. ა—ძეს ხმა და თან რევოლვერის გრიალი.

ა. ა—ძეს სხვებიც ემატებიან, მაგიდას ემატება ქვარტებით ნუნუა და მიდის დრო მხიარულად.

შემდეგ ამოსვლა კოლას პადვლიდან, გამგზავრება ასეულისკენ მთვრალი სიფათით, ლანძღვა, გინება

—„იცით, რას გიზამთ, ციხეში ამოგალპობთ, დაგხვრიტავთ“, იმუქრება ა—ძე და აქეთ-იქით ქანაობს, როგორც იალქნიანი ხომალდი შტორმის დროს.

უცქერიან წითელ არმიელნი, უცქერიან მოქალაქენიც და ფიქრობენ.... ვიცი, კარგათ ვიცი, რასაც ფიქრობენ.

ალბათ, ზოგიერთი მიხვდება, თუ რომელ ქალაქში არსებობს კოლას დუქანი და რა მოხდა ამ დუქანში 28 მარტს.

ნერვიულია, იმიტომ ყვირის.

ოხ! ეს ნევრები (თუ ნერვები). მაგათ მომგონს ნუ ეღირსოს ცხონება საიქიოს. მერე, თუ ეს ჯანდაბა ნევრები ბლომათ გაქვს, მაშინ წასულია შენი საქმე. ზოგს ნევრები „დააჭკვიანებენ“, დაუკარგვენ უნარს ლაპარაკის, ჭამის, ერთი სიტყვით სიკვდილის პირამდის მიაგდებენ, ზოგს კი ისეთ ეშმაკს შეუჯენენ გვერდებში, რომ... ვაი ჩემს მტერს.

აი, ცალკე მესანგრე ასეული. იქაც არის ერთი ნევრებიანი ამხ. ჯ—ა. ისეთი ყვირილი აუვარდება ხოლმე ნევრებისაგან, რომ გეგონებათ ქვეყანა ინგრევა და საშველად ღმერთებს უხმობსო.

—ამხანაგო, ერთი ეს მიბრძანეთ—იკითხება გამვლელი, ჯ—ს ყვირილისაგან თავზარდაცემული მოქალაქე,—რა აყვირებს აი ამ ამხანაგს ესე ძალუმად?

—ნერვიულია, იმიტომ ყვირის—უპასუხებს არა ნაკლებათ გაფითრებული და შეშინებული წითელ არმიელი.

მ. ხ.

## წრეები უნდა ამოქმედდენ.

ცხენ. ლეგიონი.

ლეგიონში მრავალი სხვა და სხვა წრეებია დაარსებული. სამწუხაროდ სხვა და სხვა მიზეზების გამო ცოტა მოისუსტებს მათში მუშაობა. ამ ჟამად ლეგიონში არსებობენ სამხედრო, სამხკორთა, პოლიტიკური, ლიტერატურული, კოოპერატიული, საერთო საგანმანათლებლო, საბუნების-მეტყველო, წიგნის მეგობართა და სხვა წრეები. ყველას ყავთ თავიანთი ხელმძღვანელები. განსაკუთრებით მოიკოჭლებს ლეგიონში სამხკორთა წრის მუშაობა. აგერ ორი კვირაა, რომ წრეში არ ჩატარებულა მეცადინეობა. ამასთანავე გვესაჭიროება სახელმძღვანელოები, მეცადინეობის პროგრამა და სხვა, რაც აუცილებლად საჭიროა მოგვეცეს გაზ. „წითელ არმიელის“ რედაქციიდან. კარგი იქნება ამასთანავე რომ სამხკორთა მეცადინეობა ტარდებოდეს ესკადრონების მასშტაბით რაც, აუცილებლად სათანადო ნაყოფს გამოიღებს.

სამხკორი ნადარეიშვილი.

### არა გვაქვს საათი.

ცალკე ცხენოსან ესკადრონში არა გვაქვს საათი. თავის დროზე არაფერი კეთდება ამის გამო. მოსალოდნელია სხვა შეცდომებიც, განსაკუთრებით განწესების დროს. გუშაგები თავის დროზე არ იცვლებიან. ეს გარემოება კი ხშირად დიდ უკმაყოფილებას იწვევს მათში. ესკადრონის ხელმძღვანელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას და შეიძინონ ეს აუცილებელი ნივთი.

წ. არმ. ა. გრ—ლი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ახკომკავშირის სკოლის მდგომარეობა ჩვენს ნაწილში.

1-ლი დივ. საარტილერიო ლეგიონი.

ლეგიონში პოლიტიკურათ ნაკლებად მომზადებულ კომკავშირის წევრებისათვის დაარსებულია სკოლა, რომელშიდაც ითვლება მთელი შემადგენლობის 60 პრ.-ტი. სკოლაში კომკავშირის წევრებთან ერთად სწავლობენ უპარტიო წ. არმიელებიც. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს კვირაში ერთხელ, მხოლოდ დასწრება პირველ ხანებში ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. ამის შესახებ კომკავშირის დაცხმარე ჯგუფებში კომკავშირის ორგანიზატორმა მრავალჯერ აუხსნა თუ რა მნიშვნელობა აქვს მეცადინეობაზე სისტემატიურ დასწრებას.

სკოლა დაყოფილია სამ-ნაწილად წევრების რიცხვის სიმრავლის გამო. ყველა ცალკე ბატარეებში არის კომკავშირის ჯგუფის სკოლის ხელმძღვანელი, მაგრამ ერთნაირი ტემპით არ მიმდინარეობს ყველგან მეცადინეობა.

საჭიროა ყველა ჯგუფების ერთი-მეორეზე დაწევა და სკოლის ხელმძღვანელებისაგან ჩატარებულ თემების კოლექტიურად შედგენა და დამუშავება. პროგრამა გვაქვს რუსულ ენაზე, თემები ძლიერ ძნელი და მსმენელების მომზადების დონესთან შეუფერებელი. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც განვლილი თემების შეთვისების გამორკვევას შეუდგებით, აღმოჩნდება, რომ ისეთი კ. კავ. წევრები, რომელთაც ნაკლებად შეუთვისებიათ მიცემული თემა და კიდევ განმეორებით მოითხოვენ ახსნა-განმარტებას. იმისათვის რომ კომკავშირის წევრებმა კარგათ გაიგონ ახსნილ-თემა და არ ჩამორჩნენ ამხანაგებს, საჭიროა გაძლიერებული იქნას წინასწარი მუშაობა; ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის მიერ შერჩეული უნდა იქნას მათთვის გასაგები ლიტერატურა და ეს რაც მალე იქნება მით უკეთესია.

სამხკორი ტ. მამალაძე.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

## „თავად არ იყო ძმარიო, შიგ შეერია წყალიო“

მე 5 ლეგიონის ბიბლიოთეკა ჯერ აქამდეც ვერ იდგა თავის სიმაღლეზე, და ამ უკანასკნელად სულ მიიძინა. ვერ გაგვიგია მიზეზი. აღარ მოდის ყოველდღიურად გაზეთები არა თუ სხვა და სხვა, არამედ გაზ. „წითელ არმიელიც“, რომელიც ესოდენ მიუცილებელია წითელი ყაზარმისათვის. ბრალი ამაში ბიბლიოთეკას უდევს აუცილებლად. საჭიროა გამოფხიზლდეს ბიბგამგე და სისტემატიურად მიაწოდეს ლენკუთხეებს გაზ. „წითელ არმიელი“. საჭიროა აგრეთვე შესაფერ ზომებს მიიღებდენ ბიბლიოთეკიდან გაცემული წიგნების უკან დასაბრუნებლად, თორემ საჭირო წიგნები ვეღარ გამოგვიტანია იქედან.

სამხკორი მოსე გურული.

### მოგვეცით მედიკამენტები.

1-ლი არტლეგიონის ქსენონი ვერ აკმაყოფილებს ნაწილის წითელ არმიელების მედიკამენტებით. ამბულატორიის ექიმები აგზავნიან რეცეპტებით წითელ არმიელებს ნაწილის ქსენონში წამლების მისაღებათ, მაგრამ იქ ქინაქინისა და იოდის მეტი არა მოიპოება რა. წითელ არმიელს უხდება ტყვილა უბრალოდ იქით-აქეთ სიარული, რაც უფრო აუარესებს მის მდგომარეობას. აქ ექიმებსაც მიუძღვით ცოტა ბრალი, რომ ზომებს არ ღებულობენ. დროა მოგვექცეს ყურადღება.

სამხკორი კულიმატორი.

### ძლიერ გათამამდენ.

1-ლი ლეგიონის უმჭყობრო გუნდს გამოყოფილი ყავს რამოდენიმე ამხანაგები, ლეგიონის საწყობში სამუშაოდ სხვა და სხვა ხელობაზე, როგორც მაგალითად იარაღის და ფარების გასაკეთებლად და სხვა. სამწუხაროდ ამხანაგები იმდენად გათამამდენ, რომ თითქმის ვერადროს ვერ ვნახულობთ თავთავიანთ ადგილზე. თავის ნებაზე დადიან და ხელს არაფერს ჰკიდებენ. უბრალო რამის გაკეთებისთვის მთელი საათობით გვიხდება მათი ძებნა და მაშინაც თუ მორიგე არ იქნა იქ ისე ხელს არ გაანძრევენ. დრო არის მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს მათ ასეთ საქციელს.

სამხკორი დაურიდებელი.

### ასეთი მასწავლებლის ხელში რაც ვიცოდით იგიც დაგვავიწყდება.

ორი თვეა, რაც მეთაურთა სკოლის მოსამზადებელ კურსზე საზოგადოებრივი მეცნიერების ლექტორად დაგვინიშნეს ამხ. ახობაძე. მის ხელში რაც ვიცოდით იგიც დაგვავიწყდა. შამოვა ლაბორატორიაში, დაგვირიგებს მიცემულებას და თვითონ ამის შემდეგ განზე სდგას. როდესაც მივმართავთ რაიმე გაუგებარ საკითხების შესახებ, გვეუბნება მაგ თვითონ თქვენ უნდა გაიგოთო. მისი პასუხი უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს.

ლაბორატორული მეთოდი ძლიერ ცუდათ გაუგია ამ ამხანაგს. თუ ასე გაგრძელდა ჩვენ ვერაფრის გაკეთებას ვერ შევსძლებთ.

სიმართლე.

### ყურადღება უნდა მიექცეს.

მე 6 ლეგიონიდან ნაკლულოვანებებზე მოთავსებულ კორესპონდენციებს ჩვენ გაზეთში, ნაწილი არ აქცევს შესაფერ ყურადღებას. ასეთები იყვენ მაგალითად კორესპონდენციები: „გვასწავლეთ წერა-კითხვა“, „გადადუღებული წყლის“ და „პარტსკოლის მეცადინეობის“ შესახებ სრულიად უყურადღებოთ არის დარჩენილი ეხლაც. კორესპონდენტებს ეკარგებათ ასეთი გარემოების გამო წერის სურვილი. რად გვინდა მარტო ქაღალდზე, რომ დარჩეს; საჭიროა ლეგიონის მესვეურები სათანადო ყურადღებით მოეკიდონ წერილებს.

სამხკორი გ. შენგელია.

# უცხოეთის არმიებში

## პოლონეთის არმიის მანევრები. ქვეითა ჯარის თავდაცვა ცხენოსანთა ნაწილების თავდასხმისაგან.

როგორც არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, პოლონეთის არმია ჩამოაყალიბა ორგანიზაციულად საფრანგეთმა. ფრანგი ოფიცრებია ამასთანავე ერთად ამ არმიის გენერალურ შტაბის ხელმძღვანელებიც. თავისი დაარსების პირველ ხანებში არმიას მხოლოდ ფრანგი გენერლები ხელმძღვანელობდენ. 1920 წელში, საბჭოთა კავშირის წინაღმდეგ ომის დროს პოლონეთის არმიის სარდლობა ფრანგებისაგან შესდგებოდა. ომის დამთავრების შემდეგ არმიაში დარჩენ მხოლოდ ფრანგი ინსტრუქტორები.

გასულ წელში პოლონეთის არმიამ გამოაშკარავა თავისი მიღწევები დიდი მანევრების დროს. მანევრებზე მოწვეული იქნენ პოლონეთის ყველა მეგობარ სახელმწიფოთა არმიების წარმომადგენლები და მათთან ერთად საფრანგეთის არმიის მთავარი სარდლობაც. მანევრებში უმთავრესად ღებულობენ მონაწილეობას ცხენოსანი ნაწილები. პოლონეთმა მშვენიერი გაკვეთილი მიიღო საბჭოთა რუსეთის ცხენოსანი არმიისაგან ომის დროს და ამიტომ მთელი ყურადღება მიაქცია მან საუკეთესო ცხენოსანი არმიის შექმნის საკითხს. გასული წლის მანევრები ამიტომ პირველი გამოცდა იყო პოლონეთის ცხენოსანი არმიისათვის.

საფრანგეთის არმიის წარმომადგენლებმა ვრცელი ანგარიში გამოაქვეყნეს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამ მანევრების შესახებ.

პირველად ყოვლისა ისინი დარწმუნდენ, რომ პოლონეთს მართლაც ყავს ცხენოსანი არმია. ამასთანავე მათ აღნიშნეს, რომ მანევრების დროს პოლონეთის ცხენოსანი ნაწილები მშვენივრად იყენებენ ფეხოსანთა ნაწილებს და მოხერხებულად აწარმოებენ მათ წინააღმდეგ ბრძოლასაც, ამასთანავე ერთად მათ ცამდე აიყვანეს ქებით პოლონეთის ავიაცია, რომელიც თითქმის მთლიანად საფრანგეთიდან აქვს შეძენილი პოლონეთს.

საბოლოო დასკვნაში ერთი ფრანგი პოლკოვნიკი აცხადებს, რომ პოლონეთის არმია უმჯობესდება და მტკიცდება ყოველწლიურად. ამით მან შეაქო საფრანგეთის კაპიტალისტები, რომლებიც ყოველ მხრივ ეხმარებიან პოლონეთს ძლიერი არმიის შექმნისათვის.

# ახალი ქიმიაში.

### ქლორით მოწამლულთა მკურნალობა.

ქლორითა და ეტორით მოწამლულების განკურნისათვის ამ ჟამად წარმატებით იყენებენ „ბენზოინის“ ფისის შესუნთქვას. მოწამლული ისუნთქავს აღნიშნულ ნივთიერებას 5—10 წუთის განმავლობაში. შეიძლება მეტიც. მავნებლობა არ მოაქვს. ამისათვის აღნიშნულ ფისის 6—10 წვეთს ურევენ წყალში, ადუღებენ მას და ავადმყოფმაც ამ წყლის ორთქლით უნდა ისუნთქოს. მისი შოვნა შეიძლება ყველა აფთიაქებში.

### აირსაწინააღმდეგო ნიღაბი მეელსმენესათვის.

ამერიკაში ამჟამად დაუმზადებიათ ახალი აირსაწინააღმდეგო ნიღაბი სპეციალურად მეელსმენეებისათვის, რომლებსაც ომის დროს უხდება მოწინავე პოზიციებზე ყოფნა. დანამდვილებით ამბობენ, რომ ასეთი ნიღაბები სრულიად არ უშლის ხელს ლაპარაკს წარმოებას არტილერიის ძლიერი ცეცხლის დროსაც კი. ყველაფერი გარკვევით ისმის აპარატში.

### სამხედრო ქიმიური გამოფენა ამერიკაში.

ნიუ-იორკში მოეწყო სამხედრო ქიმიური გამოფენა. მისი მიზანია იმის გამოაშკარავება, რომ ერის კეთილდღეობა, როგორც ომის, ისე მშვიდობიანური დროის პირობებში დამოკიდებულია ქიმიური მრეწველობის მდგომარეობაზე. გამოფენაზე აჩვენებენ ქიმიურ ქარხნების მოდელებს. ნედლი მასალის დამუშავებასა და ქიმიური მრეწველობის ნაყოფიერების შესახებ სტატისტიკურ ცნობებს. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მზხამავ ქიმიურ ნივთიერებათა საბრძოლო გამოყენების საკითხს.

გამოფენის თითეულ მნახველს ეძლევა ფურცელი „ამერიკა“, რომლითაც ამერიკელები სცდილობენ ქიმიური მრეწველობის პოპულიარიზაციას ხალხში და მოუწოდებენ ყველას მონაწილეობა მიიღონ ქიმიის სპეციალისტთა კადრის შექმნაში. გამოფენაზე სხვა ექსპონატებთა შორის აჩვენებენ აგრეთვე ახალი ტიპის აირსაწინააღმდეგო ნიღაბს, რომელიც იცავს ადამიანს აქამდე ცნობილ ყველა შხამიან ქიმიური გაზებისაგან.

ამასთანავე ერთად სამხედრო ქიმიური უწყება დიდ მუშაობას აწარმოებს შხამიანი გაზების მშვიდობიანური ცხოვრების პირობებში გამოსაყენებლად.

აღსანიშნავია ხელოვნურ ნისლის შექმნა ვენახებისათვის, რომელიც იცავს ლერწებს ყინვებისაგან. ამას უკვე მიაღწიეს ამერიკაში.

# ამბები სოფლებიდან.

**საჩვენებელი აგროპუნქტი.** აბაშაში (სენაკის მაზრა) ეწყობა საჩვენებელი აგროპუნქტები.

**ამბულატორია.** წითელი ჯვრის თელავის განყოფილება ხნის მაწანწარზე ამბულატორიას.

**თელავის აღმასკომმა** დაადგინა შეიძინოს სამი ტრაქტორი აგროპუნქტების საჭიროებისათვის.

**სამხრეთ-ოსეთის ცაკმა** დაადგინა მოაწყოს ყველა რაიონებში მოსავლის შემფასებელი.

**საექიმო პუნქტი.** ახალქალაქის სამ. აღმასკომმა დაადგინა გააფართოოს სოფ. ხერთვისის საექიმო პუნქტი.

# პასუხი შეკითხვებზე

— ნიკოლაიშვილს ე. თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა, წ. ა. ოჯახები სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადების დროს შეღავათებით. მიმართედ გადასახადთა გამანაწილებელ კომისიას.

— თოიძეს. საბუთები წარუდგინეთ ტერსამართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას.

— ჟორჟოლიანს. ნაგვის გასატან ფულს იხდის სახლის პატრონი და არა მდგმური. გადახდილი ფულის დაბრუნება არ შეგიძლიათ, რადგან სურვილით იხდიდით აქამდე.

— თ. ნიკოლეიშვილს. მოკლე ვადიანი შვებულებაში წასვლა შეიძლება უფროსის ნებართვით და ისიც განსაკუთრებულ ოჯახურ მდგომარეობის გამო.

— კორძაიას. მიმართედ უფროსს და შეიძლება გაგიშვან. ისე კი, თქვენ მიერ მოყვანილი საბუთი არ არის საკმარისი, რომ მოკლე ვადიან შვებულებაში გაგიშვან.

— ლომიძეს. თუ ადგილობრივი ხელისუფლება არ ასრულებს უმაღლეს ორგანოების დადგენილებას წ. ა. ოჯახების მიმართ, მიმართედ სამხ. პროკურორს.

— კობ. ლად. არა.

— კბილაძეს. როცა იქნება თავისუფალი ადგილი.

— ხოსროძეს. ზედმეტის გადახდევინების უფლება არ ქონდა. მიმართედ თქვენს სამხკომს.

— რ. ს. გასულ წელს შვებულებით თუ არ გისარგებლიათ, წელს ის არ მოგეცემათ.

# ჩვენი ფოსტა.

სამხკორ დოლიძეს (მე-6-ე ლეგ. 3 ათას.), ვასაძეს (მე-2 ლ. 6 ას.) ნ. კალანდაძეს (მე-3 ლეგ.), დ. მათიაშვილს (2 საკავშ. ას.), სანდროშვილს (მე-2 მეს. ას.) — თქვენი წერილები არ დაიბეჭდება, ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

სამხკორ ჟიკლიორს, ლანჩავას — თქვენი წერილები გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

სამხკორ ელვას, ვ. ნოზაძეს, შაშხანას, ებანოიძეს, ქურხულს, ლოგუას — თქვენი წერილები არ დაიბეჭდება.

სამხკორ შ. ჩადუნელს — თქვენი წერილი გაუგებარია, სწერეთ გარკვეულად.

სამხკორ მესაუბრეს — მიმართედ უფროსს.

პეტრე კახიძეს — თქვენი წერილი „ცხენოსან ლეგიონში“ არ გავა, დაგვიანებულია.

შამელა ბ—ს თქვენი საპასუხო წერილი სამნეო გუნდის წითელ არმიელების შესახებ, დაუსაბუთებლობის გამო არ დაიბეჭდება

წითელ სანიტარს თქვენი წერილი ექიმის შესახებ არ გავა. თითეული ამხანაგი ვალდებულია იყოს სამაგალითო მუშაკი.

ი. ბალანჩივაძეს (მე-6 ლეგ.) თქვენი წერილი არ გავა. მოგვაწოდეთ წერილი უჯრედის ცხოვრებიდან, და არა მშრალი ოქმები.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2-რე არტ-ლეგიონის 1-ლ დივიზიონში აქვთ შემოტანილი განცხადება კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ, ორ მეთაურს: 1) ანანია ნიკოლეიშვილს, 2) ვარლამ ხასაშვილს.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო გთხოვთ გვაცნობოთ 10 დღის განმავლობაში.

ქართულ გაერთიანებულ სამხედრო მეთაურთა სკოლის მე-2-ე კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტწევრად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) ილია ჭოხონელიძეს (პარტ-კანდიდატი 1925 წლიდან. გლეხი, რაჭის მაზ. სოფ. ცხის მცხოვრები. ამ ჟამად კურსანტი.) 2) ევტიხი ჭინჭარაძეს, (წითელ არმიელი.) 3) გრიგორი არობელიძეს (პარტ-კანდიდატი 1925 წ. გლეხი, მცხოვრები ოზურგეთის მაზ. სოფელ ლიხაურის. ამ ჟამად წით. არმიელი.)

თუ ვინმემ რაიმე იცით უარყოფითი ზემოთ აღნიშნულ ამხანაგებზე გთხოვთ გვაცნობოთ მე-2-ე კომ-უჯრედის პრეზიდიუმში.

**დაიკარგა** სურათ დაკრული სამსახურის წიგნაკი მე-6-სე ქართულ ლეგიონიდან გაცემული ვალერი თომეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.